საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2015 წლის 31 ივლისის
№1648 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 2 აპრილის
№01-05-04/95 დადგენილებით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი

პროგრამის ხელმძღვანელი: გერგეშელიძე ლელა
საკონტაქტო ინფორმაცია: l.gergeshelidze@gtu.ge; 599 270682.

თბილისი
2017 წ.

1. **პროგრამის დასახელება: ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი/Shoes and leather accessories specialist**

2. **სარეგისტრაციო ნომერი:** 02103-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

4. **მიზანი**

პროგრამის მიზანია მოამზადოს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, რომელიც შეძლებს თანამედროვე ინდივიდუალური და მასიური წარმოების პირობებში ტყავისა და ტყავის შემცვლელი მასალისაგან სხვადასხვა სირთულის ფეხსაცმლისა და აქსესუარების დამზადებას.

5. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები**

საბაზო განათლება

6. **დასაქმების შესაძლებლობები**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოში, მოდის ატელიეებში დარგის სპეციალისტად, ასევე შეუძლია დააფუძნოს სახელოსნო და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.

7. **პროგრამის სტრუქტურა და მოდულები**

მოცულობა: 114 კრედიტი

ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულები: 17 კრედიტი

პროფესიული/დარგობრივი მოდულები: 80 კრედიტი

არჩევითი მოდულები: 17 კრედიტი

მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს "პროფესიული ტესტირების

ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

მოდულები			
№	**მოდულის დასახელება**	**მოდულზე დაშვების წინაპირობა**	**კრედიტი**
1	ქართული ენა A2	**–**	15
2	ქართული ენა B1	ქართული ენა A2	15
		ჯამი	**30**
ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის ზოგადი მოდულები			
1	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	–	3
2	რაოდენობრივი წიგნიერება		2
3	ინფორმაციული წიგნიერება 1		3
4	მეწარმეობა 2	–	2
5	უცხოური ენა	–	5
6	სამოქალაქო განათლება		2
		ჯამი	**17**
ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
7	გაცნობითი პრაქტიკა-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	–	2
8	საწარმოო პრაქტიკა-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	–	12
9	პრაქტიკული პროექტი-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	–	6
10	უსაფრთხოების წესების დაცვა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების წარმოებისას	–	1
11	ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა	–	5
12	ფეხსაცმლისა და აქსესუარების კომპოზიციის შექმნა	–	5
13	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების მასალების შერჩევა და გამოჭრა	–	3
14	ნავისებური ფეხსაცმლისა და ნახევარწაღის მოდელირება/კონსტრუირება	–	8
15	ჩექმისა და წაღის მოდელირება/კონსტრუირება	–	8
16	ტყავის აქსესუარების მოდელირება/კონსტრუირება	–	7
17	ფეხსაცმლის ნამზადის კერვის ტექნოლოგია	–	8

18	ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგია	–	8
19	ტყავის აქსესუარების ტექნოლოგია	–	7
	ჯამი:		**80**
	სულ:		**97**
ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის არჩევითი მოდულები			
20	ფეხსაცმლის სამომხმარებლო თვისებების ხარისხის კონტროლი		5
21	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების შეკეთება		4
22	გობელენის ქსოვა (დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროგრამიდან)		8
	ჯამი:		**17**
	სულ:		**114**

8. პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68) და ი/მ „ირაკლი გვილავა“ (ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 121) საწარმოს ბაზაზე.

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო ადგილის ორგანიზება
- ხატვისა და ფერწერის ტექნიკური ხერხების გამოყენებით ჩანახატების შექმნა
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ესკიზის შექმნა
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების კონსტრუქციული ნახაზის აგება
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა უსაფრთხოების წესების დაცვით.

10. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

14 . ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი

დანართი:

1. სასწავლო გეგმა
2. მოდულები
3. პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია

პროგრამის ხელმძღვანელი	ლელა გერგეშელიძე
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	მანანა მოისწრაფიშვილი
ფაკულტეტის დეკანი	ოთარ გელაშვილი

მიღებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე

31.07.2015 დადგენილება №1648

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი

მოდიფიცირებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი №4, 30.03.2018წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ოთარ გელაშვილი